

დღეს ნომერშია

ბლემ სი საბის
სატელიტური მიმღების
საშუალებით ნებისმიერ
მომხმარებელს,
ხარაგაულის
მუნიციპალიტეტის
ნებისმიერ სოფელში,
თუ მას აქვს
სატელიტური თიფში,
შეუძლია
მიიღოს 30
ქართული არხი.

2 გვ.

„როსა აპრილი
ჩაივლის და ყველას
გუსტალ ესოვინება,
რომ ნანდონალური
ხელისუფლების
რეანიმაციის კანონიერი
შანსი თიეროქალაქს
კი აღარ არსებობს,
ღარაფრეხავი ვარ,
ალაბინაბი დაპარბავენი
მობილსაც და სტიმულსაც,
თავს ბრძოლაღწენ
ერთდროულად
მსხვერპლად და
მოკალაღელ. ეს ნიშნავს,
რომ კარგი მოქალაქეობა
აღარ იქნება გაიგივებული
სამკობრო-სასინდროსლო
ბრძოლასთან.“

2 გვ.

**თვითმმართველობის
რეფორმით უნდა
მივიღოთ ალბილობრიმი
მოსახლეობასთან
ანბარიშვალდებული
ხელისუფლება**

3 გვ.

ღავით ნარმანი:
„პროექტების
ბანსორსიელებსაც
ხარისხზე მკაცრი
კონტროლი
ღანესდება“

4-5 გვ.

**ახალმა ბამბაქვამა
უნდა იხილოს, რომ
ღახვლება ბევრი
ისეთი რამ, რას
შეიძლება ითვლება
ბაკითბუქალ, მებრამ
ისევე ბასაკითბუქალია
- რუბრიკაში
საგომგალოების
აბრიდი**

3 გვ.

აზიების აპილო

საპრემიუმო რიგბარაში სხლოვაზე

21 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგბარაში სხლოვა გაიმართა. სხლოვაზე დეპუტატებმა საკრებულოს თავმჯდომარე აკაკი მაჭავარიანს თანხმობა მისცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და რამდენიმე ორგანიზაციის შორის ხელშეკრულების გასაფორმებლად. კერძოდ, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ და ხარაგაულის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდება ხელშეკრულება უფლებამოსილების გადაცემის თაობაზე; „ადგილობრივი თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის“ პროექტის განსახორციელებლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ შორის გაფორმდება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება.

ხელშეკრულება ასევე გაფორმდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ შორის უფლებამოსილება-თა გადაცემის თაობაზე. ანალოგიური ხელშეკრულება დაიდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივს“ შორის.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევეში ამოქმედდება საზოგადოებრივი ცენტრი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „სადაზღვეო კომპანია „აღდაგი ბისიას“ შორის სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად დროებით სარგებლობაში იჯარით 3 კვმ ფართის გადაცემის თაობაზე გაფორმდება ხელშეკრულება.

სოფელ ხევის საზოგადოებრივი ცენტრში სამეწარმეო ხელშეკრულების განსახორციელებლად დროებით სარგებლობაში იჯარით 3 კვმ ფართი, ხელშეკრულების საფუძველზე, გადაეცემა შპს „მაგითიკომს“. ამავე ცენტრში დროებით სარგებლობაში იჯარით 6 კვმ ფართი გადაეცემა სს „ლიბერთი ბანკს“. ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და შპს „მექანიზატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდება მექანიზატორის მომსახურება.

21 იანვარს გამართულ საკრებულოს რიგბარაში სხლოვაზე დეპუტატებმა ცვლილება შეიტანეს 2013 წლის ბიუჯეტში.

პარლამენტში საარჩევნო სისტემის რეფორმა მზადდება

რადიო თავისუფლება. პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი ამზადებს კანონპროექტს, რომელიც საარჩევნო სისტემის რეფორმა უნდა უზრუნველყოს. ჯგუფი რვავე საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება და მას უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილი უხელმძღვანელებს. ცვლილებები საარჩევნო სისტემის, ადმინისტრაციული რეესურსების გამოყენების, საარჩევნო რეკლამის, საარჩევნო ადმინისტრაციების, საარჩევნო დაგებისა და საარჩევნო სისტემის მიმართულებით განხორციელდება. ახალ საარჩევნო კანონმდებლობაზე მუშაობა საზაფხულო სესიის დროს უნდა დასრულდეს.

სოფლის მეურნეობის საინფორმაციო ყველა რაიონში საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს ძმონს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ქვეყნის 54 მუნიციპალიტეტში საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი ამოქმედდება. თითოეულ სამსახურში დარგის 4-5 სპეციალისტი დასაქმდება.

დაინტერესებულ პირებს 2013 წლის 28 იანვარის ჩათვლით განაცხადის გაკეთება შეუძლიათ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.hr.gov.ge.

შერჩევის პირველი ეტაპი გულისხმობს პროფესიულ ტესტირებას. შემდეგ ეტაპზე გადასული მონაწილეები გაივლიან გასაუბრებას სამინისტროს საკონკურსო კომისიაში. წარმატებული კანდიდატები დასაქმდებიან რეგიონალურ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებში.

საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებში ფერმერთა მოთხოვნილებების შესაბამისად განისაზღვრება პრიორიტეტები და შემუშავდება რეკომენდაციები, აქვე მოხდება ახალი ტექნოლოგიების შერჩევა-დანერგვა ექსპერიმენტული და საცდელი-სადემონსტრაციო მეურნეობების სახით. დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მიზნით საკონსულტაციო სამსახურებში შეიქმნება აგრო-საინფორმაციო ბაზები.

სამსახურების მიზანია განსაზღვროს ფერმერთა გაერთიანებების ოპტიმალური ფორმირება და ხელი შეუწყოს კოოპერირების პროცესს; აღნიშნულ სამსახურს ასევე დაევალება რეგიონებში დღეს არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების ცენტრების განვითარება და ახალი ცენტრების ჩამოყალიბება, მარკეტინგული ინფორმაციის გაერცვლება და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები უზრუნველყოფს მოელი ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის გატარებას.

ბიბლიოთეკების მოქმედებისა და დააპირიზაციის გაძლიერება

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ და „Beyond Access“ - ბიბლიოთეკები განვითარების ხელშეწყობად დაინტერესებულ პირთა ფორუმი იუსტიციის სახლში გამართეს. ღონისძიების ძირითადი მიზანი ბიბლიოთეკების როლისა და მნიშვნელობის გაზრდისთვის ახალი ინიციატივების იდენტიფიცირება იყო. ფორუმში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ფორუმის ფარგლებში შემუშავდა კონკრეტული გეგმები, როგორ უნდა მოხდეს ბიბლიოთეკების მოდერნიზება და ფართო საზოგადოებაში პოპულარიზაცია. აღნიშნული ღონისძიება არის ლოგოკური გაგრძელება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ძალისხმევით, ხელი შეუწყოს საქართველოს რეგიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების შექმნას, სერვისებსა და ინტერნეტთან წვდომას, და ზოგადად, ელექტრონული მმართველობის განვითარებას.



ბაზეთი „ჩემი ხარაგაული“ G-MEDIA პროგრამის ახალ პროექტში ჩაერთო

ამერიკის განვითარების სააგენტო (USAID) მესამე წელს აფინანსებს საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს (IREX) G-MEDIA პროგრამას. პროგრამის მიზანია ქართული მედიის განვითარებაზე ხელშეწყობა სხვადასხვა მიმართულებით. მთავარი ამოცანაა ქართული მედია გახდეს უფრო მეტად დამოუკიდებელი, შემოსავლიანი და ხარისხიანი.

G-MEDIA პროგრამის ფარგლებში დაიწყო პროექტის „ახალი მედია ინიციატივის“ განხორციელება. ამ პროექტში ჩართულია გაზეთი „ჩემი ხარაგაული“. აირექსმა პარტნიორი 27 მედიორგანიზაციიდან პროექტში მონაწილეობისთვის 14 შეარჩია. პროექტის პრეზენტაცია 18 იანვარს „ქორთიარდ მარიოტში“ შედგა. პრეზენტაციაში USAID-ის დირექტორის მოადგილე რაი პლუმბეტი და G-MEDIA პროგრამის ხელმძღვანელი მითიუ შილი მონაწილეობდნენ.

„ახალი მედია ინიციატივის“ ფარგლებში პროექტის მენეჯერმა ღარი ბრძილიშვილმა გაზეთ „ჩემი ხარაგაული“ რედაქციას პროგრამის მართვასა და ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები ხარაგაულში, გაზეთ „ჩემი ხარაგაული“ რედაქციაში გააცნო.

უშუალოდ ხარაგაულზე უნდა ვთქვა აუცილებლად, რომ ძალიან დიდი წარმატების მომცემია ეს პატარა მედიორგანიზაცია. გაზეთი „ჩემი ხარაგაული“ არის ძალიან დიდი შესაძლებლობების მატარებელი, მისი გუნდის მონდობიდან გამომდინარე. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ამ ამოცანი პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი არის იმის იმედი, რომ წარმატება ყველაზე მნიშვნელოვან წილად ამ გაზეთზეც აისახება.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ახალი მედიის პროექტს მედიასაშუალებებისა და მისი მომხმარებლებისათვის, დაჩი გრძელიშვილი გვასახუბობს, რომ გაჩნდა უფრო მეტი საჭიროება ახალი მედიის, ანუ ინტერნეტმედიის, განვითარების მიმართულებით:

სინო კაკანაძე

კონფერენციის მონაწილეთა და მოწვეული სტუმრების საქმრალეობა!

ორშაბათს, 28 იანვარს, 13 საათზე დაბა ხარაგაულში კულტურის ცენტრის შენობაში გაიმართება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რაიონული კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია.

გვგ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხარაგაულის რაიონული კომიტეტის საინიციატივო ჯგუფი

სს „სილქნეტის“ მორიგი საინტერესო და ხელმისაწვდომი სიახლე



მეორე კვირაა, რაც სს „სილქნეტმა“ მომხმარებლებისთვის ახალი სერვისის დაწესება - ბლექ სი სატელევიზიო მიმდებარე...

სატის უპირატესობა მის შეუზღუდავ არეალშია. ბლექ სი სატელევიზიო მიმდებარე...

ტურ თევზზე დამონტაჟდება, მომხმარებელს დროებით სარგებლობაში გადაეცემა. სამომავლოდ სს „სილქნეტმა“ გეგმავს ხარაგაულში სიდექას მობილურ ტელეფონების დაფარვის ზონის გაზრდას...

ვანო შარიქაძე - ჯარისკაცი სამშობლოს სადარჯობე

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სახმელეთო ჯარების სარდლობა მადლობას უხდის ლეგენის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულის, ვანო შარიქაძის, მშობლებს, რომ მათი შვილი ღირსეულად იხდის მხედრულ ვალს ერისა და სამშობლოს წინაშე.

პატიოსანი სამხედრო მოსამსახურე, კეთილსინდისიერად შრომობს სამშობლოს საკეთილდღეოდ და სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით სამხედრო მოსამსახურეებს შორის.

ერთ მშვენიერ დღეს (რამდენიმე კვირის წინ) ნაციონალური მობრბოლის ცნობილმა „სახეებმა“ ფეისბუქზე შეთქმულებივით დაიწყეს ერთ-სიტყვიანი გზავნილის გამოქვეყნება: „აპრილი!“, „აპრილი!“, „აპრილი!“.

თავი რომ არ შეგაწყინოთ იურიდიული დეტალებით, პირდაპირ გეტყვი: ამ ბრძოლაში გასამარჯვებლად ბიძინა ივანიშვილს პარლამენტში 100 ხმა (სრული შემადგენლობის ორი მესამედი) სჭირდება.

ლექსად კრიტიკული მოსაზრებები დაგვიგროვდა. მართალია, ივანიშვილის მთავრობას ზოგი ძველი თანამშრომლები დატოვებისთვის აკრიტიკებს და ზოგი კიდევ - ძველებიც გამუგებისთვის; მართალია, ზოგი უკმაყოფილო საკადრო პოლიტიკით; ზოგი წერს და ხმამაღლა საუბრობს იმ განუკითხობის შესახებ, რაც ადგილობრივ ხელისუფლებებში ხდება;

ნიშნისმოძებნიანი პოზით, ან ყალბი თანაგრძობით, და იწყება არაადეკვატური გამოხმარებების ზეჯე: „ააა, აბა რა გეგონათ?!“ „ახლა აღარ გოგონით ივანიშვილი?!“ „დაგეფით გეგონა ფრაილი?!“ „შეგეფივით ბიძინამ დაფინანსება?!“ „გრძობით მუხლების კანკალებს?!“ „ჯერ სადა ხართ, ახლა ნახეთ ჩარეცხვა!“ „კარგია, თუ გონზე მოხვდით!“ და ასე შემდეგ...

კვირვასო რეალაცია! ყურადღებით ვეცნობი საგაზეთო პუბლიკაციებს თუ საინფორმაციო ტელეგადაცემებს, ჩვენი პოლიტიკოსების გამოცემებს და უნებართვო მახინჯებად დიდი მუხრან მაჭკარაინის ერთი შესანიშნავი ლექსის სტროქები: ...მე პატრონმა, მე პატრონმა ამისთანა ცის, სხვას მივბამო? ვის? რა გინდა, რომ აქ არ იყოს, ენა იტყვის რას? სიტყვა გინდა, მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა...

ოპერაცია „აპრილი“

ის იმედინი და ხალისიანი განწყობა, რომლითაც სააკაშვილის თანამებრძოლები და მომხრეები ამ ერთსიტყვიან პოსტს აზიარებდნენ, პირადად ჩემთვის თვალნათლივ ადასტურებდა, რომ სააკაშვილს ჰქონდა გეგმა - ვადაძლეული არჩევნები საკუთარი მთავრობით ჩაუტარებინა და საქმე გამარჯვებამდე მიეყვანა.

დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მარცხით დამთავრებულა; ნაციონალური მოძრაობას ხელისუფლებაში დაბრუნების ბოლო შანსი დაუკარგავს და ახლა მხოლოდ ამ რეალობის დადასტურებას უნდა ევლოდოთ აპრილის თვეში. თუმცა, ვიცით, რომ მიხედვით სააკაშვილი მეტროპოლი ხსიათით გამოიჩინება. შესაძლოა, მას ალტერნატიული გეგმები კანონისა და კონსტიტუციის ჩარჩოში ვეღარ ჩაეტყვა. ერთადერთი ქმედება, რომელიც პრეზიდენტს კანონიერების ჩარჩოში დატოვებდა და ბრძოლის გაგრძელებას შანსსაც შეუნარჩუნებდა, მის მიერ დანიშნული მთავრობით ვადაძლეული საპარლამენტო არჩევნების ჩატარება იყო, არის და იქნება.

ჩვენი ქვეყნის პრემიერს ბაქოში პირველი მღვინისა და ბოლშის მოხდა; - მაინც შეიძლება ითქვას, რომ ბევრი ადამიანი - და, მათ შორის, მეც - ჯერჯერობით, თავს ვიკავებთ ახალი ხელისუფლების საქმიანობის ძირფესვიანი შეფასებისაგან.

ნიშნისმოძებნიანი პოზით, ან ყალბი თანაგრძობით, და იწყება არაადეკვატური გამოხმარებების ზეჯე: „ააა, აბა რა გეგონათ?!“ „ახლა აღარ გოგონით ივანიშვილი?!“ „დაგეფით გეგონა ფრაილი?!“ „შეგეფივით ბიძინამ დაფინანსება?!“ „გრძობით მუხლების კანკალებს?!“ „ჯერ სადა ხართ, ახლა ნახეთ ჩარეცხვა!“ „კარგია, თუ გონზე მოხვდით!“ და ასე შემდეგ...

კვირვასო რეალაცია!

ყურადღებით ვეცნობი საგაზეთო პუბლიკაციებს თუ საინფორმაციო ტელეგადაცემებს, ჩვენი პოლიტიკოსების გამოცემებს და უნებართვო მახინჯებად დიდი მუხრან მაჭკარაინის ერთი შესანიშნავი ლექსის სტროქები: ...მე პატრონმა, მე პატრონმა ამისთანა ცის, სხვას მივბამო? ვის? რა გინდა, რომ აქ არ იყოს, ენა იტყვის რას? სიტყვა გინდა, მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა... ასეთი საგანძურის პატრონები უცხოური ტერმინოლოგიებით ვანიშნებთ და ვაბინძურებთ მშობლიურ სათაყვანებელ ენას. უბრალოდ, სირცხვილია, ჩვენი გენიოსი წინაპრების წინაშე.

ია ანსიამ რადიო თავისუფლება

თვითონ ვირჩევ მომავალს

საზოგადოებრივი აზრი

დღეს კომისია გამგებლობის კანდიდატებთან გასაუბრებას ჩაატარებს

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის უახლოესი არჩევნები 2014 წელს უნდა ჩატარდეს. მალე დაიწყება თვითმმართველობის რეფორმის განხორციელება, - ამის შესახებ გარკვეული ინფორმაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 17 იანვარს გამართულ შეხვედრაზე მივიღეთ.

რეფორმის ძირითადი ორიენტირები გარკვეულია და სტრატეგიული დოკუმენტი - მომზადებულია. იქნება სამუშაო ჯგუფები, რომლებმაც კონკრეტულ დეტალურ საკითხებზე უნდა იმუშაონ. გაიმართება დისკუსია სხვადასხვა მიმართულებით. შემუშავდება საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელმაც ერთიანობაში უნდა მოგვცეს თვითმმართველობის რეფორმის განსახორციელებლად საჭირო საკანონმდებლო ბაზა.

„ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენს სამინისტროს, საქართველოს მთავრობასა და პარლამენტის შესაბამის კომპეტეტებთან ერთად, წამოწყებული აქვს ყველაზე მსხვილმასშტაბიანი და ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, - ეს არის საჯარო ხელისუფლების მოწყობა, - განაცხადა შეხვედრაზე რეგიონული განვითარებისა და ინფ-

იცვლება მუნიციპალიტეტების ტერიტორიული საფუძველი. სამხარეო დონეზე შევა თვითმმართველობის ელემენტები. საუბარია სამხარეო დონეზე ბიუჯეტის შექმნაზე.

სამხარეო დონეზე შევა თვითმმართველობის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტები სამხარეო საბჭოს სახით. საჯაროდ, ის არ იქნება ცალკე არჩევითი, არამედ იქნება ასოცირებული, შემავალი საკრებულოებიდან. რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელიც იქნება უფრო მეტეფერის ტიპი, ვიდრე პოლიტიკური ფიგურა, მის არჩევა-შერჩევაში მონაწილეობას მიიღებს როგორც სამხარეო საბჭო, ასევე ცენტრალური ხელისუფლება, ოღონდ გარკვეული უპირატესობით სამხარეო საბჭოს.

საუბარია იმაზე, რომ ყველა სოფელში მოსახლეობამ აირჩიოს მამასახლისი. საქართველოში არის 3 500 სოფელი. 3 500-ზე სოფელში მოსახლეობა ჩაატარებს კრებას, აირჩევს საზოგადოებრივ საბჭოს და მამასახლისს. ეს არ იქნება ანაზღაურებადი სამუშაო. ეს იქნება საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფორმა. თუ რაიმე ფუნქციის დელეგირება მოხდება მუნიციპალიტეტიდან, ან კანონმდებლობა მიანიჭებს რაიმე ფუნქციას, მხოლოდ

დღეს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შექმნილი კომისია გამგებლობის კანდიდატებთან გასაუბრებას ჩაატარებს. კომისიამ ათი კანდიდატიდან ერთს უნდა მიანიჭოს უპირატესობა და საკრებულოს წარუდგინოს დასამტკიცებლად.

რას დაამატებდნენ გამგებლობის კანდიდატთა სამუშაო პროგრამებს, რა მოთხოვნები აქვთ მუნიციპალიტეტის მომავალი გამგებლის მიმართ, - ამ შეკითხვებზე ხარაგაულები გვაპასუხდნენ.



მა შველიძე: -მისასალმებელია და სასიხარულოა, რომ გამგებელი დემოკრატიული გზით შეირჩევა და არა ვიღაცის ერთობლივი გადაწყვეტილებით. ღმერთმა დაგვიფაროს იმ გაუკებრობებისგან, რაც ხდება სხვა მუნიციპალიტეტებში. არეულობა კეთილის მომტიანი არ იქნება არავისთვის და ისევე უიმედობას გამოიწვევს. ხარაგაული ფოკალური გამგებელია შეგნებული სამოქალაქო საზოგადოებით.

კომისია დგას დიდი დილემის წინაშე იმდენი, რომ ყველა კანდიდატი, ასე თუ ისე, ღირსეულია თავისი განვლილი გზით. კომისიამ უნდა გაიაროს მართლაც ბევრის ხელზე სიფრთხილით, რომ მათმა გადაწყვეტილებამ არ დააზიანოს მომავალი და არ გამოიწვიოს არეულობა.

კანდიდატთა პროგრამები საინტერესოა, ინოვაციური, მრავალმხრივი. თანამედროვე მენეჯერული ცოდნა და დემოკრატიული ხედვა დაეინახე ამ პროგრამებში.



მანანა ტაბაშვილი: -საკონკურსო კომისია, ჩემი აზრით, დაბალანსებულია. ჩემი სურვილია, ისეთი პიროვნება გახდეს გამგებელი, რომელსაც კი არ დაეკარგება სურვილი წელიწადნახევრის შემდეგ ხარაგაულის გამგებლობის და ხალხის მომსახურების, არამედ კენჭისყრაზე ისევე დააყენებს თავის კანდიდატურას. თუ შემდეგ მას მოსახლეობა პირდაპირი წესით არჩევს, ეს იქნება ხარაგაულის გამარჯვება. ღმერთმა ქნას, ისეთი გამგებელი მოვიდეს, რომელიც ქუთაისში არ შერჩევს კადრებს და არც თბილისიდან მივლული ზარებებით.

ხარაგაულის მომავალმა გამგებელმა უნდა იცოდეს, რომ აუარებელი საქმე დახვდება ხარაგაულსა და მის სოფლებში. სიღუპის პირას არიან ადამიანები. არანაირი შეღავათი არ აქვთ მრავალშვილიან ოჯახებს. ჩემი სურვილია, რომ გამგებელი იყოს კარგი მენეჯერი, რომელიც მოითხოვს სამოქალაქო დარბაზის ამოქმედებას, რომელზეც დღევანდელი საკრებულო ამბობს, რომ არ სჭირდება. იმედს ვიტოვებ, რომ ღმერთი თავისი კალთას გადმოგვადარებს და ისეთი რამ აქ არ მოხდება, რაც ზოგიერთ სხვა მუნიციპალიტეტში ხდება. ვისაც პქონ-

და გამგებლობის ამბიცია, მე კომისია, ყველამ წარადგინა თავისი თავი. კომისიის წევრები, მჯერა, დასაბუთებულ პასუხს გასცემენ იმ კანდიდატებს, ვისაც მხარს არ დაუჭერენ.

ვერც ერთი კანდიდატის პროგრამაში ვერ ვხედავ დასაქმების პრობლემის გადაჭრის კონკრეტულ გზებს და მიმართულებებს. ვფიქრობ, ჩამოყალიბებული არ არიან. ზვარის მინერალური წყლის ქარხნის ამოქმედებაზე ხელშეწყობა გამგებელმა აუცილებლად უნდა შეძლოს. აუცილებელია ხარაგაულში ახალგაზრდების დამატება. ბევრი რამ, რაც არასწორი გზით კეთდებოდა, უნდა გამოსწორდეს. ახალმა გამგებელმა უნდა იცოდეს, რომ დახვდება ბევრი ისეთი რამ, რაც შეიძლება ითვლებოდა გაკეთებულად, მაგრამ ისევე გასაკეთებელია.

ძალიან მინდა, რომ ხარაგაულის გამგებელმა გაითავისოს ეროვნული პარკის მნიშვნელობა და ხარაგაული მოამზადოს ტურისტების განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონის მიმდებარე სოფლებზე გამაზიანდეს განსაკუთრებული ყურადღება.

სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით, დასაქმების კუთხით თითო-

ზურაბ მაჭავარიანი: -ხელი-სუფლების მხრიდან სოფლის მეურნეობა დასახლებულია პრიორიტეტულ დარგად. ასეც რომ არ იყოს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა სოფლის მეურნეობიდან მიღებული პროდუქტი. გამგებლის კანდიდატებს უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ამ დარგში არსებული პრობლემებისათვის, უნდა ყოფილიყვნენ უფრო კონკრეტულები, წარმოედგინათ თავიანთი ახლებური ხედვა სოფლის ასაღორძინებლად. ეს, მეტნაკლებად, ყველა კანდიდატს ეხება.

ძალიან მიხარია, რომ ასეთი კანდიდატები იბრძვიან თანამდებობისთვის. ნიუანსებში წვდომა მერეც შეიძლება.

გამგებელმა უნდა იცოდეს მუნიციპალიტეტში მცხოვრები თითოეული მოსახლის ვაკანტური, ლხინი, სოციალური და ეკონომიური პრობლემა და შესისხლხორციელებული უნდა ჰქონდეს ყველაფერი. არ უნდა დაკარგოს დრო ხარაგაულის გასაცნობად. ევროპაში ასეა - თვითმმართველობის წევრები არიან ადგილობრივი მკვიდრები და დასაბამიდან იტყვიან პრობლემების მოგვარებაზე ზრუნავენ. მაგალითად, სამხრეთ გერმანიაში ადგილობრივი არჩევნებში ვერ გამოარჯობა მმართველმა პარტიამ. ხალხმა მხარი დაუჭირა ისეთ პარტიას, რომელიც მიანიჭდა, რომ ადგილობრივი პრობლემებს უკეთ მოუგვარებდა. ეს არის ცივილური მიდგომა საკითხისადმი და ჩვენც ეს უნდა ვისწავლოთ.

მსურს, რომ მომავალში გამგებელი საყოველთაო, პირდაპირი წესით აირჩეს.



ეული ოჯახის შესაძლებლობები უნდა შეისწავლოს გამგებელმა. მუნიციპალიტეტში შექმნილია საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრმა უნდა შეიძინოს ქვედითი ფუნქცია. სახელობის სასწავლებლის შექმნა, სამწუხაროდ, არ დააფინანსა ადგილობრივმა ხელისუფლებამ. მომავალმა გამგებელმა ამაზე უნდა იზრუნოს. ასე რომ, ძალიან ბევრი საფიქრალი ექნება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

თვითმმართველობის რეფორმით უნდა მივიღოთ ადგილობრივ მოსახლეობასთან ანგარიშვადებული ხელისუფლება

რასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა, - მიუხედავად არა ერთი მცდელობისა, 1998 წლიდან, ვერც ერთხელ, ვერც ერთი რეფორმის დროს ვერ მივიღეთ მართვის ეფექტურობა, ადგილობრივი მოსახლეობასთან ანგარიშვადებული ხელისუფლების რგოლი.“

თენგიზ შერგელაშვილის განცხადებით, მიმდინარეობს საკანონმდებლო ბაზის მომზადება. 2013 წლის საგაზაფხულო სესიის ბოლომდე უნდა დაამტკიცოს ეს კანონპროექტი პარლამენტმა. ჩასატარებელია ბევრი სამუშაო, რათა ადგილობრივ არჩევნებს მომზადებულნი შევხვდეთ.

უკვე 2013 წელს ამოქმედდება ამ კანონმდებლობის გარკვეული ნაწილი, რომელიც ბევრ სახელს ითვალისწინებს. მათ შორის განხილვის სტადიაზეა საქართველოს ყველა სოფელში - ანუ 3 500-ზე სოფელში ე. წ. „საზოგადოებრივი თვითმმართველობების“ ფორმირება. ეს არ იქნება მუნიციპალური თვითმმართველობის ფორმა. ეს იქნება მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც ჩართული იქნება რეფორმის პროცესში.

„საზოგადოებრივი თვითმმართველობის“ რგოლი მიიღებს მონაწილეობას სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში; იმ კონსულტაციებში, რომლებიც მუნიციპალიტეტების ტერიტორიულ ოპტიმიზაციას ან კომპეტენციების გამოყენებას შეიძლება უკავშირდებოდეს. 2014 წლის არჩევნების შემდეგ „საზოგადოებრივი თვითმმართველობის“ რგოლებს კანონით დაეკისრებათ სხვა ფუნქციები. ერთ-ერთი ფუნქცია იქნება უშუალოდ საბიუჯეტო პროცესში თანამონაწილეობა, - როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის, ასევე მისი მონიტორინგის ეტაპზე.

გაწეული ხარჯების კომპენსირება შეიძლება მოხდეს. სოფელს არ ექნება ამ შემთხვევაში ექსკლუზიური ფუნქციები, არ ექნება ბიუჯეტი. ამით განსხვავდება საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფორმა ნაძველი თვითმმართველობისგან.

სოფლის რწმუნებულები 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ იმ ფორმით, როგორც ისინი დღეს მუშაობენ, აღარ იარსებებს.

დღევანდელი რწმუნებულები არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ტერიტორიული რგოლი, ანუ მისი გავრცელება. საზოგადოებრივი თვითმმართველობა კი იქნება ადგილობრივი სოფლის მოსახლეობიდან ანგარიშვადებული რგოლი, რომელიც თავისი სოფლის სახელით კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებში იურითიკურად მუნიციპალიტეტთან.

საუბარია გადასახადის ტიპების განაწილების ცვლილებაზე. გადანაწილება გადასახადები ხელისუფლების დონეებს შორის. შეიძლება დაწესდეს ისეთი გადასახადი, რომელიც დღეს არ არსებობს. ამჟამად ამ თემაზე მიმდინარეობს მუშაობა. საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლების დონეებს შორის ფუნქციების განაწილების შესაბამისად გადანაწილდეს საჯარო ფინანსები. ეს ნიშნავს იმას, რომ საჯარო ფინანსების გაცილებით დიდი წილი, ვიდრე დღეს აქვს, იქნება მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე.

მს ყველაფერი, ჯერჯერობით ვიდრე კანონს არ მიიღებს პარლამენტი და ძალაში არ შევა, - მხოლოდ კონცეფციაა.

ლაშრა გოგოლაძე



ბურაბ სახაძე: -გაკვირვებული ვარ, რომ გამგებლობის კანდიდატების სამუშაო გეგმებს და მინდა აღვნიშნო, რომ ძირითადი პრიორიტეტები თითქმის ყველასი მსგავსია და ჩემთვის მისაღებია. კეთილშინებულ ბატონ ზურაბ მაჭავარიანის

ღავით ნარმანია: „პროექტების განხორციელებისას ხარისხში მკაცრი კონტროლი დაწესდება“

თბილისი-სენაკის საავტომობილო მაგისტრალის სურამი-ხესტაფონის 60 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობასთან დაკავშირებით საკითხის შესწავლა მიმდინარეობს და ჯერჯერობით, კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ არის. „ვიცი, რომ ამ მონაკვეთზე საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა ძვირია და ძალიან დიდ ტექნიკურ სამუშაოებთანაა დაკავშირებული. უხეში გათვლებით, 800 მილიონი ლარია საჭირო. ამჟამად ვსწავლობთ, რომ უფრო ზუსტად ვიცოდეთ, სად რა მდგომარეობაა, სად შეიძლება გაიაროს გზამ, სად შეიძლება არსებული მონაკვეთის გაფართოება და დაახლოებით რა დაჯდება. პროექტების პროცესი მოგვცემს ზუსტი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას.“

„აღნიშნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **ღავით ნარმანიამ** რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. ჩემს შეკითხვაზე, ვერაულოებენ თუ არა ალტერნატივად ფონის შემოვლითი გზის განხილვას, მან განაცხადა: „ამას, ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით, ვიდრე საპროექტო შესწავლა არ დაიწყება.“



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ღავით ნარმანია (ცენტრში) და მინისტრის ადგილზე იმდროინდელი შიდა რეგიონული განვითარების მინისტრი ივანე ბერიძე (მარჯვნივ) და შიდა რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე ივანე ბერიძე (მარცხნივ).

2013 წლის სამოქმედო გეგმა, რეგიონების მიხედვით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები და ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფცია გაგვაცნეს 17 იანვარს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მინისტრმა **ღავით ნარმანიამ** და მინისტრის მოადგილეებმა **თენგიზ შერვაშიაძემ** და **შოთა შერვაშიამ**.

შეხვედრის დასაწყისში მინისტრმა რეგიონულ მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობის როლსა და გამჭვირვალობის მნიშვნელობაზე ისაუბრა; მანვე, საზოგადოების ინფორმირებულობისა და მოსახლეობის პრობლემების სამინისტროსთვის პერიოდულად გასაცნობად, რეგიონულ მედიასთან მჭიდრო ურთიერთობის მშაობა გამოხატა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პრიორიტეტების დასაზღვრად ახალი მეთოდოლოგია შემუშავდება

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **ღავით ნარმანიამ** ჟურნალისტებთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა სერვისის ხარისხის გაუმჯობესება: „პრაქტიკაში დაგვანახა, რომ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, სიქარესა და სტანდარტების არარსებობის პირობებში, ბევრგან უხარისხოდაა შესრულებული. ამიტომ ხარისხის გაუმჯობესება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იქნება.“

სისტემის მოწესრიგება, სად არის უფრო პრიორიტეტული გზის შეკეთა და ა. შ.“ - აღნიშნა დავით ნარმანიამ.

მან ასევე ხაზი გაუსვა ფინანსური რესურსების ოპტიმალურად ხარჯვის მნიშვნელობას. „ჩვენ უფრო დეტალური შესყიდვების გეგმები გვექნება და უფრო მაღალ კონკურენციას ველოდებით ტენდერებში.“ - განაცხადა მინისტრმა. სამინისტრო ასევე გეგმავს პროექტის ხარჯთაღრიცხვების დეტალური აუდიტის განხორციელებას.

შემუშავდა ორგანიზაციის დაგეგმვის მეთოდი

დადასტურდა თუ არა გასულ წლებში უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები და თუ გადაიხედება, დადგება თუ არა კონკრეტული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის საკითხი; ან როგორ გასწორდება ხარვეზები, - ამის შესახებ მინისტრმა დავით ნარმანიამ აღნიშნა, რომ სამინისტროს გადმობარებისას, პარალელურ რეჟიმში დაიწვეს მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების ძალიან აქტიური რევიზია. უკვე ათზე მეტი საქმეა გადაგზავნილი საგამომცემო ორგანოებში. მათგან ცხრა საქმე ტენდერებთანაა დაკავშირებული. ზოგან ხარჯთაღრიცხვები იყო არასწორად - მაღალი ფასების გამო, ზოგან ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები აღმოჩნდა. კომპანიები ჩიოდნენ, რომ მათ ერთი პროექტი ჰქონდათ მოკლებული და დამატებით დააძაღეს კიდევ სხვა პროექტების შესრულება. შიდა აუდიტის სამსახური სწავლობს ამ საქმეებს ძალიან კომპეტენტურად. დავით ნარმანიამ ამბობს, რომ ამიერიდან აღარ იქნება არც ერთი ზედმეტი დაჯდება. ხარჯთაღრიცხვები დეტალურად შემოწმდება და მშენებელი ორგანიზაციები ვალდებული იქნებიან, ეს თანხა ტენდერში მოგებულ პროექტზე დახარჯონ, ანუ გააკეთონ უფრო მეტად ხარისხიანად, ვიდრე ადრე აკეთებდნენ.

რისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის - გზა გაკეთდება. 2013 წელს ოცდაათი საავტომობილო ხიდი და სამი საავტომობილო გვირაბის რეაბილიტაციაა დაგეგმილი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განსახორციელებელ პროექტებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტად რჩება წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. 2013 წელს ორმოცდაათამდე ქალაქის ტიპის დასახლებაში აწარმოებენ ამ კუთხით სამუშაოებს.

მყარი ნარჩენების მართვისთვის 2013 წელს 12 მილიონი ლარი გამოყოფილი

სახლეა ის, რომ წელს პირველად დაიწყება **რეგიონული ნაგავსაყრდენის მართვა**. 2012 წელს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“. ნარჩენების მართვა აქამდე მუნიციპალიტეტების უფლებამოსილება იყო და წინა ხელისუფლების პერიოდში იქცა ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებად.

რეგიონული განვითარებისა და

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2013 წელს შარშანდელთან შედარებით 180 მილიონი ლარით მეტს განხარჯავს სხვადასხვა პროექტებზე.

2013 წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი 901 მილიონი ლარით განისაზღვრა. აქედან 501 მილიონი ლარი სხვადასხვა მიმართულებით გზების და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოებზე გაიხარჯება. 182 მილიონ ლარამდეა განსაზღვრული მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელ პროექტებსა და პროგრამებზე; 130 მილიონი ლარი - წყალმომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებებზე; 82 მილიონი ლარი - დევილთა საცხოვრებელი სახლებისა და პირობების მოწესრიგების სამუშაოებზე. „180 მილიონი ლარით მეტის დახარჯვის შესაძლებლობა გვექნება 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით“ - აღნიშნა შეხვედრაზე მინისტრმა დავით ნარმანიამ.

ზემოთაღნიშნული 901 მილიონი ლარიდან წმინდა საბიუჯეტო სახსრები 341 მილიონი ლარია; 75 მილიონ ლარამდე არის გრანტი; ხოლო ძირითადი ნაწილი - 484 მილიონი ლარი არის საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიზნობრივად მიმართული და შედარებით კრედიტები, რომლითაც, ძირითადად, ფინანსდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორც არის გზები, წყალმომარაგების სისტემის სამუშაოები და ა. შ.

ამისთვის რამდენიმე მუნიციპალურ სტანდარტს შევიმუშავებთ. მინიმუმ ამ სტანდარტების დაცვა იქნება აუცილებელი იმისთვის, რომ უფრო მოწესრიგებული და ხარისხიანი ინფრასტრუქტურა მივიღოთ.

მეორე - სატენდერო პირობებში უფრო მკაფიოდ და მკაცრად იქნება გასწავლილი ხარისხთან დაკავშირებული საკითხები. სატენდერო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იქნება სამუშაოების შესრულების შუალედური გეგმები.

მესამე - სამინისტრო გაააქტიურებს ურთიერთობას სასამართლო ექსპერტის ეროვნულ ბიუროსთან ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების ხარისხის შემოწმების მიზნით. როგორც სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანა იქნება ჩვენი სამინისტროს მხრიდან. განისაზღვრება პრიორიტეტების შემუშავების ისეთი მეთოდოლოგია, რომ გამოირიცხოს სუბიექტური მიდგომები სოფლების ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში პროექტების შერჩევას. ობიექტურად გაზომვადი კრიტერიუმების საფუძველზე თვითონ სისტემამ უნდა მოგვცეს არჩევის საშუალება - ვთქვათ, სად, რომელ სოფელში არის უფრო პრიორიტეტული წყალმომარაგების

გაზრდადდა ორგანიზაციის დაგეგმვის მეთოდი

დადასტურდა თუ არა გასულ წლებში უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები და თუ გადაიხედება, დადგება თუ არა კონკრეტული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის საკითხი; ან როგორ გასწორდება ხარვეზები, - ამის შესახებ მინისტრმა დავით ნარმანიამ აღნიშნა, რომ სამინისტროს გადმობარებისას, პარალელურ რეჟიმში დაიწვეს მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების ძალიან აქტიური რევიზია. უკვე ათზე მეტი საქმეა გადაგზავნილი საგამომცემო ორგანოებში. მათგან ცხრა საქმე ტენდერებთანაა დაკავშირებული. ზოგან ხარჯთაღრიცხვები იყო არასწორად - მაღალი ფასების გამო, ზოგან ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები აღმოჩნდა. კომპანიები ჩიოდნენ, რომ მათ ერთი პროექტი ჰქონდათ მოკლებული და დამატებით დააძაღეს კიდევ სხვა პროექტების შესრულება. შიდა აუდიტის სამსახური სწავლობს ამ საქმეებს ძალიან კომპეტენტურად. დავით ნარმანიამ ამბობს, რომ ამიერიდან აღარ იქნება არც ერთი ზედმეტი დაჯდება. ხარჯთაღრიცხვები დეტალურად შემოწმდება და მშენებელი ორგანიზაციები ვალდებული იქნებიან, ეს თანხა ტენდერში მოგებულ პროექტზე დახარჯონ, ანუ გააკეთონ უფრო მეტად ხარისხიანად, ვიდრე ადრე აკეთებდნენ.

გაზრდადდა ორგანიზაციის დაგეგმვის მეთოდი

დადასტურდა თუ არა გასულ წლებში უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები და თუ გადაიხედება, დადგება თუ არა კონკრეტული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის საკითხი; ან როგორ გასწორდება ხარვეზები, - ამის შესახებ მინისტრმა დავით ნარმანიამ აღნიშნა, რომ სამინისტროს გადმობარებისას, პარალელურ რეჟიმში დაიწვეს მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების ძალიან აქტიური რევიზია. უკვე ათზე მეტი საქმეა გადაგზავნილი საგამომცემო ორგანოებში. მათგან ცხრა საქმე ტენდერებთანაა დაკავშირებული. ზოგან ხარჯთაღრიცხვები იყო არასწორად - მაღალი ფასების გამო, ზოგან ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები აღმოჩნდა. კომპანიები ჩიოდნენ, რომ მათ ერთი პროექტი ჰქონდათ მოკლებული და დამატებით დააძაღეს კიდევ სხვა პროექტების შესრულება. შიდა აუდიტის სამსახური სწავლობს ამ საქმეებს ძალიან კომპეტენტურად. დავით ნარმანიამ ამბობს, რომ ამიერიდან აღარ იქნება არც ერთი ზედმეტი დაჯდება. ხარჯთაღრიცხვები დეტალურად შემოწმდება და მშენებელი ორგანიზაციები ვალდებული იქნებიან, ეს თანხა ტენდერში მოგებულ პროექტზე დახარჯონ, ანუ გააკეთონ უფრო მეტად ხარისხიანად, ვიდრე ადრე აკეთებდნენ.

ლი ქვეყნის მასშტაბით ამას სრულად შევძლებთ, - აღნიშნა ჩვენთან შეხვედრაზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ **შოთა შერვაშიამ**, - მყარი ნარჩენების მართვის პრობლემის მთლიანად გადაჭრას დასჭირდება ჩვენი ქვეყნის სრულ ბიუჯეტზე მეტი. ამიტომ ჩვენი მიდგომაა, რომ პირველი რიგის ამოცანები მოწესრიგდეს - რეგიონში თითო ნაგავსაყრელზე განხორციელდეს შემოღობვითი სამუშაოები იმისათვის, რომ მინიმალური სტანდარტები იყოს უზრუნველყოფილი; თუმცა ამ სტანდარტებში ჩვენ არ ვგულისხმობთ ევროპულ სტანდარტებს. 2013 წელს 12 მილიონი ლარია გამოყოფილი ამ მიმართულებით. შარშან გაიხარჯა მილიონი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ ამხელა ზრდაა, ეს თანხა ეყოფა მხოლოდ რამდენიმე ნაგავსაყრელის შემოღობვას. დანარჩენ ნაგავსაყრელებზე მინიმალური დონის სამუშაოებია გათვალისწინებული, პერიოდულად რომ მოხდეს მიწის მოყრა. ეს მხოლოდ დასაწყისია. ამით პრობლემას ვერ ვაგვარებთ, მაგრამ გაიცვლება წინ წაიწვეთ.

ჩვენ ახლა მთელი წელი უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ ვნახოთ, სად შეიძლება ახალი ნაგავსაყრელის გაკეთება. არ გვინდა, რომ ძველი მოეშალოს და ისევ უკანონო ნაგავსაყრელი წარმოიშავს სხვაგან.“

ამჟამად მიმდინარეობს ნარჩენების მართვის კომპანიის სტრატეგიის დამუშავება. ამ მიმართულებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რეგიონული ნაგავსაყრელების მართვის მიმართულებით, გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად იმუშავებს, გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად.

ნარჩენების მართვისთვის სამინისტრო ერთი მიმართულებით იმუშავებს - ერთია არსებულ ნაგავსაყრელებზე სიტუაციის მინიმალურ დონეზე გაუმჯობესება და მეორე - ძველი ნაგავსაყრელების დახურვა და ახალი ნაგავსაყრელების შექმნა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ბრძოლაში

მიმდინარე წელსაც გაგრძელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა. 2013 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 449 მილიონი ლარია. ეს თანხა ეტაპობრივად განაწილდება რეგიონებსა და თვითმმართველობებზე, თვითმმართველობის მიმართვის საფუძველზე იმისდა მიხედვით, თუ რას თვლიან ისინი პრიორიტეტულად.

თენგიზ შერვაშიაძე: „არც ერთი პროგრამა, გზის არც ერთი კილომეტრი არაფრად ღირს, თუ არ არის ინდიკატორი, სადაც მოერეულია, კონკრეტულად რომელი საზოგადოებრივი ცუდის მდგომარეობა როგორ გაუმჯობესდება და როგორ გავზომოთ ეს გაუმჯობესება.“

ინფრასტრუქტურის სამინისტრო პირველ ეტაპზე გეგმავს ნაგავსაყრელის მოწყობას შემდეგ მსხვილ მუნიციპალიტეტებსა და მხარის ცენტრებში: თელავში, ახალიციხეში, გორში, მცხეთაში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ამბროლაურსა და ქუთაისში. ამ ნაგავსაყრელების მოსაწყობად 2013 წლის ბიუჯეტში 12 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

გარდა ამისა, მომზადდება სახელმძღვანელო დოკუმენტები, გადამზადდება პროფესიული კადრები, შემუშავდება ხარჯების ამოღების მექანიზმი და მომზადდება საინვესტიციო პროექტები.

„ზოგადად, ნაგავსაყრელების მოწყობა ძალიან მასშტაბური საქმეა. ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ სამი-ოთხი წლის განმავლობაში მიუ-

„თვითმმართველობები გააკეთებენ განაცხადებს, - ამბობს დავით ნარმანიამ, - რეგიონული განვითარების კომისია შეაფასებს ამ პროექტებს და მერე ფინანსთა სამინისტრო გაანალიზებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს.“

თითოეული რეგიონისთვის შემუშავდება განვითარების სტრატეგიული გეგმა

შემუშავდება თუ არა თითოეული რეგიონის განვითარების სტრატეგიული გეგმა? ხარაგაულშიც გვექონება შემთხვევა, როცა ვერ ასფალტი დაიფარა და შემდეგ კი ახლადაგებული ასფალტი ბუნებრივად გახსის შემოსაყვანად აყარეს. ❖

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2013 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შემდეგ პროექტებს განახორციელებს:

საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 162-ე, 165-ე, 167-ე, 169-ე, 170-ე (0,9), 171-ე (0,9) კილომეტრებზე ჩატარდება ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ სამუშაოებზე, რომელსაც საავტომობილო გზების დეპარტამენტი განახორციელებს, 8 000 000 ლარი დაიხარჯება და გამოცხადდება ტენდერი.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 152-ე, 159-ე (0,437), 161-ე, 163-ე, 164-ე, 166-ე კილომეტრებზე გაგრძელდება გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ და ამ სამუშაოებზე 4 000 000 ლარი დაიხარჯება.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ. 167+759 მდ. ძირულაზე არსებული სახიდე

გადასასვლელის რეაბილიტაციისთვის დაგეგმილია 400 000 ლარი. ამ პროექტის განმახორციელებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტი და მის შესასრულებლად გამოცხადდება ტენდერი.

ხარაგაულში წელსაც გრძელდება ქუჩების, მოედნების და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. ამ სამუშაოებზე გათვალისწინებულია 412 500 ლარი.

ტენდერი გამოცხადდება შიდასახელმწიფო მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის 27-ე კილომეტრზე გამორეცხილი მიწის ვაკისის აღდგენითი სამუშაოებისთვის. პროექტის ღირებულება 399 600 ლარია და ამ სამუშაოებს საქართველოს გზების დეპარტამენტი განახორციელებს.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გრძელდება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 145-ე და 148-ე კმ-ზე მიწის ვაკისის ჩაწვევლის საწინააღმდეგო პრევენციული სამუშაოები 122 900 ლარად.

მესამე წელია მიმდინარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევში ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ და წელს ამ სამუშაოებზე 191 200 ლარია გათვალისწინებული. ძირითადი სამუშაოები დასრულებულია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევში ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის ოთახების მოწყობაზე 26 600 ლარი დაიხარჯება.



ღაპით ნარამნია: „პროექტების განხორციელებისას ხარისხში მკასრი კონტროლი დაწესდება“

გიორგი გვირილაძე

ამასთან დაკავშირებით მინისტრის მოადგილემ **თინათინ შარაგაული** გასული წლის დეკემბერში ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის მთავარ ოფისში ვიზიტი გაიხსენა. „იქ საკითხი ასე დაგვიდგინდა, რომ ჩვენ გვინდა შინაარსი, ანუ საით მივდივართ და მერე პროექტები, - ამბობს თინათინ შარაგაული, - მსოფლიო ბანკის მთავარ ოფისში გვიპასუხეს, რომ წინა ხელისუფლება ამბობდა პირიქით - მთავარია, რაღაცები ავაშენოთ. ხშირად ვუსვამდით კითხვას, რომ ავაშენებთ, მერე იმას მოვლა-შენახვა ჭირდება, ან ხარჯი ვინ უნდა გაიღოს, ან ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი. სამწუხაროდ, ჩვენი წინამორბედები ამას არ თვლიდნენ პრიორიტეტულად. ამჟამად ვაკეთებთ გეოინფორმაციულ რუკას. პრობლემა რომ არ შეიქმნას, დაგეგმვაში უნდა არსებობდეს თანმიმდევრობა. ადრე იყო კოორდინაციის პრობლემა იმიტომ, რომ ძალიან ბევრი პროექტი იწყებოდა პერსონალური სატელეფონო ვერბალური დავალებების საფუძველზე. ამიტომ ისინი კოორდინირებული არ იყო. ახლა ეს ერთიან სისტემაში ექცევა. ასეთი შემთხვევები, რომ ვერ გზა დავაგოთ და მერე ბუნებრივი ვაზის მაგისტრალი გავიყვანოთ, აღარ იქნება.“

ძალიან ბევრი დოკუმენტი იწყობა, მაგრამ ყველას აქვს საერთო ნაკლი. ამ პროექტებს არ გააჩნია კონკრეტული ინდიკატორი, როგორ გაუმჯობესდება, ვთქვათ, პენსიონერის, მცირე მეწარმის, სკოლის ასაკის ბავშვების მშობლების, დაბალშემოსავლიანი ან სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა. არც ერთი პროგრამა, გზის არც ერთი კილომეტრი არაფრად ღირს, თუ არ არის ინდიკატორი, სადაც მოცემულია, კონკრეტულად რომელი საზოგადოებრივი ჯგუფის მდგომარეობა როგორ გაუმჯობესდება და როგორ გავზომოთ ეს გაუმჯობესება.

სტიმულით დაზარალებულთა დასახმარებლად მუნიციპალური ბიუჯეტში გვირგვინი რეაბილიტაციის პროგრამის დაწყება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში და არა მარტო ჩვენთან, წლების მანძილზე პრობლემად რჩება სტიქიისგან

დაზარალებულების დახმარების თემა. 2012 წელს ხარაგაულის ადგილობრივმა თვითმმართველობამ ამ მიმართულებით იმდენად მიზნობრივად თანხა - 30 ათასი ლარი - გამოჰყო, რომ დაზარალებულებზე განაწილებაც ვერ მოხერხდა, - თანხის სიმცირის გამო ოჯახები რეალურ დახმარებას ვერ მიიღებდნენ. ვისი პრეროგატივაა სტიქიისგან დაზარალებული ოჯახების დახმარება - ადგილობრივი თვითმმართველობის თუ ცენტრალური ხელისუფლების?

მინისტრის მოადგილემ **თინათინ შარაგაული** აღნიშნა, რომ ამ შეკითხვასთან დაკავშირებით ამჟამად კონკრეტული პასუხი არ არსებობს. კახეთში გასულ ზაფხულს სტიქიით დაზარალებულების დასახმარებლად მთავრობის დავალებით შეიქმნა კომისია. რაც შეეხება გასულ წლებში სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს, სხვადასხვა რეგიონებიდან ბევრი წერილი მიდის სამინისტროში.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტში ცალკე სტიქიის სალიკვიდაციო ფონდი, სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ არის. ამიტომ ასეთი ტიპის სტიქიურ უბედურებაზე გარკვეულ სამუშაოებს, თავისი ფინანსური სახსრების ფარგლებში, ატარებს მუნიციპალიტეტი.

თინათინ შარაგაული მიიჩნევს, რომ ასეთი საკითხების გადაჭრა მაქსიმალურად უნდა იქცეს ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებად. „საცხოვრებელი სახლები სხვადასხვა სტიქიის მიერ დაზარალებული. ბევრი სტიქიის მერე წლებია გასული. თავის დროზე ყველა სტიქიის შემდეგ იქმნებოდა სალიკვიდაციო კომისიები. დგინდებოდა ზარალი. არსებობდა მთავრობები, რომლებსაც უნდა გამოეყო სახსრები დაზარალებულთა დასახმარებლად. ბევრი ასეთი საკითხი დაგროვდა. ჩვენ ამ 901 მილიონში სტიქიის მუხლი არ გვაქვს, - ამბობს თინათინ შარაგაული, - ჩვენ შევძელია ერთადერთი, რომ ასეთი

საკითხები დავაყენოთ მთავრობის სხდომაზე, როდესაც მუნიციპალიტეტი, მაჟორიტარი აყენებს საკითხს. მაგრამ ეს ძალიან ხშირად მხელია იმიტომ, რომ თუ ვთქვით, ხუთ განცხადებას ხარაგაულიდან პირდაპირ მთავრობის სხდომაზე ვაგიტანთ, - რა ვუყოთ იმ განცხადებებს, რომლებიც შემოსულია საჩხერედან, თელავიდან, ლაგოდეხიდან და ა. შ.

მუნიციპალურ ბიუჯეტებში წინა წლებში ცენტრალური ხელისუფლებიდან აძლევდნენ ინსტრუქციას, თანხა გაეხარჯათ ისეთ ფუნქციებზე, რაც თვითმმართველობის კომპეტენციებში არ შედის. ამიტომ სტიქიით დაზარალებულთა პრობლემების მოსაგვარებლად მუნიციპალურ ბიუჯეტებში ძალიან ბევრი რეზერვის აღმოჩენა შეიძლება.

ჩვენი სამინისტრო, ჩვენი მთავრობა განახორციელებს ბევრ გეგმას, რომელიც კარდინალურად შეცვლის რეგიონებში მდგომარეობას. ამის შედეგში გამოჩნდება ამ წლის ბოლოს, 2014, 2015, 2016 წელს და ეს იქნება ნამდვილი დეცენტრალიზაცია.“

გალე ანტიდემპინგური კანონმდებლობის შემოღებაზე დაიწყება მუშაობა

რამდენად გაგრძელდება პრაქტიკა, როცა ტენდერებს ერთი და იგივე სამშენებლო კომპანიები იგებდნენ, - ამ საკითხთან დაკავშირებით მინისტრი **ღაპით ნარამნია** ამბობს: „ჩვენს მიერ გამოიყენება ორი მეთოდოლოგია - თუ ფული ბიუჯეტადან მოდის, ვიყენებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობას. თუ პროექტი დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით ხორციელდება, მაშინ გამოიყენება მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგია, რომელიც გაცილებით უფრო დეტალურია და არჩევანის საშუალებას იძლევა არა მხოლოდ ფასის, არამედ შემოთავაზებული ხარისხის მიხედვით, ცალკე მოწმდება საფასო დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვები, ცალკე მოწმდება თვითონ ტექნიკური დოკუმენტაცია. თუმცა, ერთი რამ, რასაც ვერ ვშეველით, ეს არის დემპინგურ ფასებში

შემოსვლა. ცალკეული ქვეყნების უცხოური კომპანიები, ოღონდ კი ბაზარზე მოხვდნენ და დემპინგურ ფასებზე შემოდიან. ჩვენ, რაკი ანტიდემპინგური კანონმდებლობა არ გვაქვს, ვიცით, რომ საშუალო საბაზრო ფასზე დაბალ ფასს გვთავაზობს და კლავს ადგილობრივ კომპანიას, მაგრამ ვერაფერს ვუშვებით. თუმცა, ძალიან დაიწყება მუშაობა ანტიდემპინგურ და სხვა ტიპის კანონმდებლობის შემუშავებაზე.“

სწორედ ისინი საკითხი - ადგილობრივი კომპანიები უნდა განახორციელოს პროექტი თუ უცხოურმა. „თუ ძალიან დიდ ტენდერებსა და დიდ ლოტებსა საუბარი, ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი კომპანიები ავტომატურად გამოითხოვებოდა ტენდერს, რადგან მათ არ აქვთ ამხელა პროექტის შესრულების გამოცდილება.“

ამიტომ ჩვენ შევცვლით, რომ უფრო მცირე ლოტებად დავყოთ სამუშაოები, რომ ადგილობრივი კომპანიები მაკ შეძლონ მუშაობა, - ამბობს ღაპით ნარამნია, - მაგრამ ადგილობრივი კომპანიებს აქვთ ასევე ტექნიკის პრობლემა. უცხოურ კომპანიებს შეუძლიათ შემოიყვანონ ტექნიკა იმდენი, რამდენიც მათ სჭირდებათ. ადგილობრივი კომპანიების რესურსები ტექნიკის თვალსაზრისით შეზღუდულია. ამიტომ არის, რომ ხშირ შემთხვევაში ტენდერში იმარჯვებს უცხოური კომპანია და მერე ქვეკონტრაქტორები არიან ადგილობრივი კომპანიები.“

შემდგომარეობაზე მუნიციპალიტეტების ცენტრებში საკანალიზაციო სისტემების მოწყობის საკითხით დაინტერესდი. მინისტრის ინფორმაციით, უშუალოდ დონორი ორგანიზაციები აპირებენ რამდენიმე საკურორტო ზონაში კანალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. სამინისტრო, ჯერჯერობით, კანალიზაციებს მოწყობას ვერ იწყებს. „პირველი რიგის ამოცანა წყალთან დაკავშირებული საკითხებია. მერე, დროთა განმავლობაში, დადგება კანალიზაციების მოწყობის თემა.“ - ამბობს მინისტრი.

„შინაგარეშად გადატანით რომ ძველი შენობა შენობად...“

უხევედრა ქუთაისთან დაკავშირებული განხორციელებული თემით დასრულდა - რამდენად ეშუაღებდა საშიშროება ქუთაისის განვითარებას, თუკი პარლამენტი თბილისში დაბრუნდება.

„სამწუხაროდ, ისევე როგორც ყველა სფეროში, ამ მიმართულებითაც აბსოლუტურად არაადაეკვატური ხედვები იყო, თითქოს ქუთაისში პარლამენტის შენობის არსებობა გააუმჯობესებდა ქუთაისის ეკონომიკურ მდგომარეობას, - განაცხადა მინისტრის მოადგილემ **თინათინ შარაგაული**, - ქუთაისის ეკონომიკას სჭირდება ადგილობრივი შესაძლებლობები, ინვესტიციები, ადგილობრივი ბიუჯეტი, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და ბიზნესის დაინტერესება.“

ქუთაისის პარლამენტი დღეს არა მარტო არაფერს მატებს ქუთაისს, არამედ ქმნის პრობლემას მთელი საქართველოსთვის. ყველა სამინისტროს დაგეგმილი აქვს გლობალური რეფორმები. გვიჭირს ყოველდღიური ურთიერთობა პარლამენტის წევრებთან. ყველა სამინისტროში ელოდებიან, როდის მოვა პარასკევი საღამო, რომ დეპუტატებს, კომიტეტის თავმჯდომარეებს თბილისში, არაფორმალურ ვითარებაში, შეხვდნენ. არის აბსოლუტურად გაუმართლებელი მდგომარეობა.

რაც შეეხება თავად შენობას, სახელმწიფოს აქვს საშუალება, რომ სამშენებლო კომპანია დააჯაროს იმიტომ, რომ შენობა ექსპლუატაციაში მიღებული არ არის.

დღეს დეპუტატები იქ უნდა ისხდნენ ჩაფხუტებით, ისეთი სიტუაცია გვაქვს რეალურად.

ჩვენი სამინისტრო, ჩვენი მთავრობა განახორციელებს ბევრ გეგმას, რომელიც კარდინალურად შეცვლის რეგიონებში მდგომარეობას. ამის შედეგში გამოჩნდება ამ წლის ბოლოს, 2014, 2015, 2016 წელს და ეს იქნება ნამდვილი დეცენტრალიზაცია.“

შენობების გადატანით რომ ქვეყანა შენდებოდეს, 21 სამინისტროა, თითოეულს სხვადასხვა ქალაქებში გადავიტანდით და აშენებული იქნებოდა ეს ქვეყანა.“

ლანუა გოგოლაძე



გიორგი ტყეშელაშვილი: -ბორითის კლინიკა რომ ამოქმედდება, სანტექნიკოსი იქნება, დარაჯი თუ ელექტრიკოსი, ადგილობრივები უნდა დაასაქმონ.

ბორითის ტერიტორიული ორგანოს მაჟორიტარი დეპუტატის, **თამარ ბაგაძის**, ინფორმაციით, შენობა, სადაც ბორითის საბავშვო ბაღია განთავსებული, ერთ კვირაში ეკონომიკის სამინისტროს გადაეცემა, შემდეგ კი მუნიციპალიტეტის ქონება გახდება. მხოლოდ ამის შემდეგ მოხერხდება ამ შენობის გარემონტება და ბორითის საბავშვო ბაღის გაფართოება. „შემოსავლების სამსახურს ჰქონდა და გადასახლება შენობის შესაფუთის ქონება. გორის რაიონულმა სასამართლომ განიხილა ეს საკითხი და განიხილეს ქონება გადასცა შემოსავლების სამსახურს. ახლა აღსრულების ბიუროს გადაეცა სასამართლოდან მონაცემები. ხარვეზი იყო გაპარული განიხილება, რომელიც ჩვენი ჩარევით გამოასწორა სასამართლომ. ერთ კვირაში ქონება გადაეცემა ეკონომიკის სამინისტროს,“ - ამბობს თემურ გამცემლიძე.

ბორითის საბავშვო ბაღის გამგის, თამარ ტაბატაძის, ინფორმაციით, ამჟამად ბაღში არის ერთი შერეული ჯგუფი 23 აღსაზრდელი. მათ ემსახურება ერთი აღმზრდელი, ერთი ძიძა, მუსიკის მასწავლებელი და მზარეული. ბორითში ბაღის ასაკის ბავშვთა რაოდენობა დიდად და ამიტომ მოსახლეობა კიდევ ერთი ჯგუფის გახსნას ითხოვს. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების



მარიამ ბაგალაძე: 22 თანაკლასელადან ხუთიოდე ცხოვრობს სოფელში. დანარჩენები ქალაქში წაივლინენ სამუშაოს საძებნელად.

სოფლის მოსახლეობის მთავარი პრობლემა დასაქმებაა

დირექტორი ქეთევან ზუმბაძე აქტიურად ჩართულია, რომ სექტემბრიდან ბორითის საბავშვო ბაღში მეორე ჯგუფი გაიხსნას. მანამდე კი საჭიროა შენობის გადახურვა, გარემონტება და ინვენტარის შექმნა.

თამარ ტაბატაძის თქმით, ბორითში ძირითადი პრობლემა უმუშევრობაა. განსაკუთრებით ახალგაზრდების დაუსაქმებლობა ვნებს სოფლის საერთო მდგომარეობას. ახალგაზრდების უმრავლესობა ქალაქში მიდის სამუშაოს საძებნელად. „საავტომობილო გზის მიმდებარე სოფელი რომ იქნება, მთის სოფელში რაღა ქნას კაცმა? - წუხს თამარ ტაბატაძე, - ბორითში საავადმყოფო რომ აშენდა, ძალიან კარგია. ახლა გააკეთა, რომ სამუშაოთა მწარმოებელი ყოფილა მოსული და უნდა გაკეთდეს, რაც დასაძირებულა. ბორითის კლინიკა რომ ამოქმედდება, ძალიან უხარია ხალხს. ექიმამდე მისასვლელი გზის ფულის დაზოგავს ხომ საქმა.“

თანასოფელითა პრობლემებიდან ასევე უმუშევრობას გამოყოფს უბისელი **მანანა სპინაძე**. „მანამდე ჯერ დიდი დროა, მაგრამ დღეებს ვითვლით, როდის გავათქმენ პენსიაში და რომ ვებრუნებით, ანას კი აღარ ვფიქრობთ. ვინც პენსიონერი არ არის, შიმშილით ხომ არ უნდა დაეწყდეთ?!“ - ამბობს ქალბატონი მანანა და იხსენებს, რომ ადრე უბისაში ხილის გადამამუშავებელი ქარხანა ფუნქციონირებდა. ოჯახებს ხილის ჩაბარებითაც ჰქონდათ შემოსავალი და ქაზანშიც იყვნენ დასაქმებულნი. ქალბატონი მანანას სასურსათო მაღაზია აქვს. იმდენი ნისია გროვდება, რომ ხუმრობს, „ჩემი ვაჭრობით ვენმარები სოფელს.“

უბისაში 2012 წელს სტალინი გაკეთდა სკოლასთან და ამით კმაყოფილები არიან ახალგაზრდები. რიტუალების სახლის მოწყობა დაიწყო, თუმცა დასრულებისთვის კიდევ სჭირდება თანხა. ამიტომ სოფლის მზარდაჭერის პროგრამით ამ სოფლისთვის განკუთვნილი სახსრების მთლიანად რიტუალების სახლისთვის მოხმარებას აპირებენ უბისელები.

ქალბატონი მანანა ინფორმაციით, მოსახლეობა კმაყოფილია სასკოლო წყლის პრობლემის მოგვარებით და გზების შეკეთებით. სახვათქნა უბანში კარგად გაკეთდა დამა. „წყლის პრობლემა შეკეთდა და გააკეთეს, - ამბობს უბისელი **ნანა მჭედლიძე**, - ხიდი გვიქონდა გასაკეთებელი, მოგვიტანეს მასალები და ისიც გაკეთდა. ახლა უბისაში შემომავალი, ღირებულებები მიმაველია გზა შესაკეთებელი.“ უმუშევრობა ნანას და მის ოჯახსაც აწუხებს. „დასაქმება აუცილებელია. არც უმაღლესი ცოდნის აღარ აქვს პრივილეგია. ბიოლოგიის მასწავლებელი უმუშევარი ვარ. ჩვენს ოჯახში არავინ მუშაობს, არც პენსიონერი გვაყავს.“

ბორითის ტერიტორიული ორგანოს მაჟორიტარი დეპუტატი **თამარ ბაგაძე** ბორითის სოფლების მოსახლეობის პრობლემებზე მსჯელობისას აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ გასულ წელს უბისაში შესრულდა მდინარის ნაპირდამცავი სამუშაოები. ანალოგიური სამუშაოები შესასრულებელია მაქათუბანსა და ბორითში ორ ადგილას. მისივე თქმით, წლებია, ამ საკითხს აყენებს სხვადასხვა უწყების წინაშე. ეს გარეული დაცვის სამინისტროს პერიოდშიც იყო ადრე. მერე ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადმოეცა. ამ საკითხების

შეკითხვები ვერ მოხვდა სოციალურად დაუცველთა საშიშ. ქალბატონი ნანას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვს და იმდენად მალე ქულებს აკუთვნებენ, რომ სამედიცინო პოლისსაც კი ვერ დაუბუღებ. „რამდენჯერმე მოვიდა აგენტი. რისთვის მომდის ასეთი მალე ქულები, არ ვიცი. ნავაგვი უნდა იჯდე მაინც მაინც და ჩამოხლეწილი კედლები გქონდეს? მე ისეთი ბუნება მაქვს, შეიძლება ვისესხო, ვიმშობლო და შალერის მაინც ვაკავრე. უკუღმრთოდ, უსუფთოდ და უკონტროლოდ მაინც ვერ გავჩერდები. ის შალერებიც, სიძე რომ დამეღუპა, იმ დაცველს დღეებში გააკეთეს ჩემმა მეზობლებმა და ამისთვის დამიწერეს მაღალი ქულები?! ახლა ისე ვარ, რომ უფალს ვაბარებ. ექიმებმა ოპერაციისთვის მაქსიმუმ ერთი თვე მომცეს. სამი ოპერაცია მაქვს სასწრაფოდ გასაკეთებელი. ივანიშვილი ყველას ჰპირდება დაზღვევას და ველოდები. გამაფრთხილებს ვსვამ, იქნებ მივადწიო მანამდე. ექიმმა მუდმივად მისაღები წამალი დამიწმინდა. წამალი რომ ვიფიქრო, მშვიდი დამჩრება ოჯახი. პენსიონერი მეუღლე, უმუშევარი შვილი და სხვა ობოლი შვილიშვილი მაყავს. შუათანა შვილიშვილი უნარზე უზღუდულია.“

ჩვენი სოფელი ძალიან მწირია. ჩვენს მოსულს ვერაფერს ვყიდით. პურის ფაქციის

მოსავარებლად აუცილებლად გვეჭირდება და ხმარება. საქსრიაში, სასაუზმესთან, მოსახლეობა ხიდს ითხოვს. 30 ოჯახი ცხოვრობს წყალგაღმით და ხუთი კილომეტრის მოვლით დადის ხალხი. საჭიროა აშენდეს ისეთი ხიდი, ურემმა და მსუბუქმა მანქანამ რომ მაინც გაიაროს,“ - ამბობს თემურ გამცემლიძე და ხიდის გაკეთებას აუცილებლად მიიჩნევს სოფელ მაქათუბანში მდინარე ძირულას მარჯვენა მხარეს, სადაც ახალი დასახლებაა. მისივე განმარტებით, ეს საკითხები „სოფლის მზარდაჭერის პროგრამით“ ვერ განხორციელდება, რადგან მინიმუმ ასი ათასი ლარი დაჯდება.

თემურ გამცემლიძის ინფორმაციით, ბორითის ტერიტორიული ერთეულის სოფლებში ჯამში 44 კილომეტრის სიგრძის გზაა. მისივე თქმით, სოფლებში ისეთი რთული რელიეფია, რომ გზის შენახვა ძნელია. „სოფლის მზარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პირველ წელს გზები უხარისხოდ შეკეთდა, რადგან მოსახლეობამ მოინდომა ბევრი გზის გაკეთება. შემდგომ წლებში სასოფლო გზები შედარებით უკეთესად გაკეთდა, მაგრამ - ცოტა. თუ გზას სანიადვერ არხი არ გაუკეთდა, მისი შენარჩუნება ძნელია. ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია მაქათუბნის გზა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 78 სოფელს



მანანა სპინაძე: -ხალხს ეკონომიურად უჭირს. ვინც პენსიონერი არ არის, შიმშილით ხომ არ უნდა მოკვდეს?!



მერაია შვაჩავა: -მაქათუბანში თავშეყრის ადგილი არ გვაქვს, მაგრამ მოსახლეობამ გზების შეკეთება მოითხოვა და გზები შეაკეთეს.



სულიმურ გოგოლაძე: -მაქათუბანში საშუალოდ ცხოვრობს ხალხი. ჩემი ოჯახის შემოსავალი მხოლოდ მშობლების პენსიაა. უნდა დასაქმდეს ხალხი.



სოსო სნელიძე: -ხალხი ელოდება დაბალპროცენტური სესხების გაცემას. ზოგი ფერმის გაკეთებას აპირებს, ზოგი ვენახს დარგავს. ყველას აქვს იმედი სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის.



ნანა მჭედლიძე: -მოსახლეობის დასაქმება აუცილებელია.

- 1 000 ლარი; კვესრეთი-ამაშუკეთის გზის შეკეთებას - 2 400 ლარი; წყლის მიწების შეკეთებას - 430 ლარი.

სოფელ **გაგაშვილის** გამოყოფილი 5 608 ლარიდან გრეიდერის შესაძენად მიიხარჯა 1 307 ლარი; წყლის სისტემის შესაკეთებლად - 801 ლარი; ბოგორის მოსაწყობად - 1 000 ლარი; სარიტუალო ინვენტარის შესანახი ოთახის შესაკეთებლად - 800 ლარი; გზის შესაკეთებლად - 1 700 ლარი.

სოფელ **მრამისაში** სოფლის მზარდაჭერის პროგრამით 2012 წელს განსაზღვრული იყო 5 282 ლარი. აქედან 1 231 ლარი გრეიდერის შეძენას მოხმარდა; 1 051 ლარი - ბორითის სარიტუალო სახლის მოწყობას; 1 000 ლარი - წყლის სისტემის შეკეთებას; 2 000 ლარი - გზის შეკეთებას.

ლავრა ბოგოლაძე



ნანა ბაგალაძე: -რისთვის მიწერენ ასეთ მალე ქულებს, არ ვიცი. საპოლისე ქულა რომ მაინც მოგანიჭონ, ნავაგვი უნდა იჯდე მაინც მაინც და ჩამოხლეწილი კედლები გქონდეს?



თამარ ტაბატაძე: -მოსახლეობა ბორითის საბავშვო ბაღში მეორე ჯგუფის გახსნას ითხოვს.



თამარ ბაგალაძე: -შენობა, სადაც ბორითის საბავშვო ბაღია განთავსებული, ერთ კვირაში ეკონომიკის სამინისტროს გადაეცემა.

მადლობა ყველას, ვინც წარმატების მიღწევაში მეხმარება

სწრაფად გაიზარდა ერთმა წელმა. შარშან ამ დროს მესამე კლასში ვიყავი, წელს უკვე მეოთხე კლასის მოსწავლე ვარ. ბევრი რამ საუკეთესო მოხდა ჩემს ცხოვრებაში ამ ერთი წლის მანძილზე. ბევრი წარმატება და სიხარული განვიცადე სახალწლო კარნავალიდან კარნავალამდე. ემონაწილეობდი თითქმის ყველა ღონისძიებაში. იყო განსაკუთრებული დღეები ჩემს ცხოვრებაში: ოქტომბერში ექსკურსია საოცარი რაბათის მოსანახულებლად, რამაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემს მეხსიერებაში. ზესტაფონში საცირკო სანახაობის სენსზე დასწრება წარუშლელი დარჩება ჩემი მეხსიერებიდან, შემოდგომის ზეიმი - ჩურჩხელების ამოღება, რომელიც მედელი ბებიას დახმარებით შევასრულეთ; კალიგრაფიის კონკურსი, სადაც მეორე საბრძოლველი დავიმსახურე; სახალწლო კარნავალი, სადაც წამყვანი პოზიცია შეკავა; სულ ახლახან, თბილისში ცეკვის ფესტივალზე მიღებული სიამოვნება, სადაც ჩვენმა ჯგუფმა I ადგილი დაიმსახურა.

დიდი მადლობა ლამზირა მასწავლებელს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ჩემი წარმატების და აღზრდა-განათლების საქმეში, მედელი ბებიას სამომდგომო ზეიმზე მონაწილეობისათვის, ჩემს თანაკლასელებს, ჩემს მშობლებს ვარძიის საჯარო სკოლის მასწავლებლებს, ჩვენს ქორეოგრაფებს.

ბედნიერება და სიხარული, სიყვით და სიყვარული ყოველივეს თქვენი და თქვენი ოჯახების მეგობრები. გვინდა თქვენთან ერთად.

თათია ხოჯაბაძე
ვარძიის საჯარო სკოლა IV კლასი


ვინ მინდა გამოვიდე



მარიამ ბარბაშაძე: -მე მინდა გამოვიდე ექიმად, რომ ყველა ავადმყოფს დავეხმარო.



გიორგი ბორაშვილი: -პოლიციელი მინდა გამოვიდე იმიტომ, რომ სამართალ აღვადგინო.



ლუბა კატხაშვილი: -მე მინდა გამოვიდე ჯარისკაცი და ვემსახურო საქართველოს.



გიორგი კურტიანიძე: -მეც ჯარისკაცი მინდა რომ ვიყო. ჩემი ქვეყანა უნდა დავიცვა.



მამუკა კურტიანიძე: -მინდა გამოვიდე მძღოლი და ვემსახურო ხალხს.



მარიამ გულაშვილი: -მე მინდა ვიყო პოლიციელი, გამოვიდე პატრული და დავეხმარო ხალხს.



ნანა სიმისაშვილი: -მე მიყვარს კარატე. მინდა კარატისტი გამოვიდე და მთელი მსოფლიო მოვიარო.



მარიამ ტაშაშვილი: -მე ექიმობა მინდა. ბებიას ოპერაცია მინდა გაუკეთო და ფეხზე გაეატარო. მეცოდება, ორი ჯოხით რომ დადის. ყველა ავადმყოფს დავეხმარება, რადგან მათ ექიმთან მისვლის საშუალება არ აქვთ.



ეულოცავთ ბედნიერებას ჩემს პირველ სიხარულს, შეიღობილს **ანა გიორგი ასულ ბარბაქაძე** თავის რჩეულ **გიორგი მამუკას ძე გვასალიასთან** ერთად.

ეუსურვებთ მათ სიყვარულით შექმნილი ოჯახის სიმტკიცეს, ჯანმრთელობას, უღებ სიხარულს, სიყვარულს, შეიღობა სიმრავლეს, ბედნიერ თანაცხოვრებას და უფლის მფარველობას.

ბიორგა ბაბო, ბასო ბიბია

ეულოცავთ **ლენა ორჯონიძის** და **ბიკ სურგილაშვილის** ქალიშვილის ბედნიერებას. ეუსურვებთ ახალდაქორწინებულებს **რუსუდან სურგილაშვილს** და **ზურაბ ქობულაშვილს** უღებ სიყვარულს, სიხარულს, უფლის მფარველობას და ლამაზი ქართული ოჯახის შექმნას.

მარიამის საჯარო სკოლის კვლავი მადლობა

ეულოცავთ ვაჟიშვილის შექმნას ჩვენი სკოლის პედაგოგ ქალბატონ **ელისო არაპაშვილის**. ახალშობილ **მათი ხი-ჯაბაძის** ეუსურვებთ ღვთის წყალობას, ღებ ბავშვობას და სასახელო ქართველ ვაჟიშვილად აღზრდას თავის მამიკო **ნიკოლოზთან** ერთად.

მარიამის საჯარო სკოლა

ეულოცავთ ქალბატონ **რუსუდან დე-ბანოსიძის** შეიღობილს, თავის სეხნია **რუსუდან დე-ბანოსიძის** ამქვეყნად მოეღობინას. ეუსურვებთ ღებ ბავშვობას, სიყვარულს და დღეგრძელობას საყვარელ მშობლებთან ერთად. ღებთი იყოს მისი მფარველი.

მარიამის საჯარო სკოლა

ზეიმი კიცხის საბავშვო ბაღში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა 27 დეკემბერს ზეიმით აღნიშნეს 2013 წლის შემობრძანება. ღონისძიებამ, როგორც წესი, მხიარულად ჩაიარა. ბავშვებს ახალი წელი მიულოცა თოვლის ბაბუამ, რომელმაც გულუხვად დაასაჩუქრა ჩვენი პატარები.

რამდენი თაობა აღზარდა ჩვენმა საბავშვო ბაღმა, რამდენი სიხარული განუცდია ამ ზარზეიმით ბაღის აღსაზრდელებს. ამისთვის გულწრფელი მადლობა და ჩვენი მოწონებული მილოცვა ბაღის აღმზრდელებს. მათი ამდენი შრომა და გარჯა მართლაც დასაფასებელია, რადგან

მიუხედავად ყველაფრისა, ზოგჯერ ცუდი პირობებისა, ზოგჯერ პირადი პრობლემებისა, მათგან ცუდი განწყობა არასოდეს გვიგრძობია, რისთვისაც დიდი მადლობა ბაღის გამგეს ქალბატონ გულკო მადლაფერიძეს, საბავშვო ბაღის აღმზრდელს ქალბატონ ელენე ვეფხვაძეს, მუსიკის მასწავლებელს ნათია ბანცაძეს. ასევე საყვარელ თანამშრომლებს: ნატო ურთქმელიძეს და იამზე ბერაძეს. ღმერთმა მისცეს მათ დღეგრძელობა და ჯანმრთელობა, რათა კიდევ ბევრი სასახელო მოქალაქე აღუზარდონ ჩვენს ქვეყანას.

პიცხის საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლები



გვეამაყება ჩვენი გოგითა

გოგითა (გიორგი) კობას ძე ბარბაქაძე თბილისის წმიდა ნინოს სახელობის საპატრიარქო სკოლის XI კლასის წარჩინებული მოსწავლეა. გასულ ზაფხულს განათლების სამინისტრომ ოტეკასა და ლატვიაში გაგზავნა. ორი წლის წინ საბერძნეთში იყო მიწვეული. გოგითას აქვს გამორჩეული მუსიკალური და ქორეოგრაფიული მონაცემები. გატაცებულია ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნება „ხრიდოლით“. სწორედ ამ კუთხით მონაწილეობდა პროექტში „ნიჭიერი“.

არის არაერთი მედლისა და სიგელის მფლობელი როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში ჩატარებულ ტურნირებში გამარჯვებისთვის.

გასული წლის 10 დეკემბერს ტრაპ-ზონში გახდა მსოფლიო ჩემპიონი და დაჯილდოვდა ოქროს თასით, ოქროს მედლით და სიგელით. ძალიან ვამაყობთ და გახარებულნი ვართ ჩვენი შვილიშვილის წარმატებით. ეუსურვებთ მას შემდგომ გამარჯვებებს.

მარიამ და ტუნია ბარბაქაძეები

აშინდი	პიცხი
25.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +10°C, ღამე +5°C;	25.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +11°C, ღამე +6°C;
26.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +12°C, ღამე +6°C;	26.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +12°C, ღამე +7°C;
27.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +12°C, ღამე +7°C;	27.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +12°C, ღამე +8°C.
28.01 - მოდერულულობა ნალექით, დღე +12°C, ღამე +7°C;	28.01 - მოდერულულობა ნალექით, დღე +12°C, ღამე +8°C.
29.01 - მოდერულულობა ნალექით, დღე +7°C, ღამე +3°C;	29.01 - მოდერულულობა ნალექით, დღე +8°C, ღამე +4°C.
30.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +6°C, ღამე +4°C.	30.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +6°C, ღამე +5°C.
ბორჯომი	მოლითი
25.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +9°C, ღამე +4°C;	25.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +7°C, ღამე +2°C;
26.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +10°C, ღამე +5°C;	26.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +8°C, ღამე +3°C;
27.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +10°C, ღამე +5°C;	27.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +8°C, ღამე +3°C;
28.01 - მოდერულულობა ნალექით, დღე +11°C, ღამე +6°C.	28.01 - მოდერულულობა ნალექით, დღე +9°C, ღამე +4°C.
29.01 - მოდერულულობა ნალექით, დღე +8°C, ღამე +3°C.	29.01 - მოდერულულობა ნალექით, დღე +6°C, ღამე +1°C.
30.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +6°C, ღამე +4°C.	30.01 - ცვალებადი მოდერულულობა ნალექით, დღე +5°C, ღამე +2°C.